სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/43

ქ. თბილისი 26 ივლისი 2024

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორიის (SMART| Medical Imaging Training Lab)" შექმნისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-4 მუხლის მეორე პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეკანის თ. ჟვანიას 2024 წლის 2 ივლისის №0000790786 წერილის, ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 25 ივნისის №7 სხდომის ოქმის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №01-05-04/110 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 26 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეიქმნას სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორია (SMART| Medical Imaging Training Lab)" და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „ი) SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორია (SMART| Medical Imaging Training Lab)“ ;

3. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საშტატო განრიგში და ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**